“სექსუალური შევიწროება: ადვოკატირება და ცნობიერების ამაღლება” (2016-2017)

კვლევა და საკანონმდებლო ცვლილებები

"საფარმა" მოამზადა საჯარო სივრცეში სექსუალურ შევიწროებასთან დაკავშირებული კანონმდებლობისა და პრაქტიკის კვლევა ცხრამეტი ქვეყნის კანონმდებლობის ანალიზზე დაყრდნობით. კვლევაზე დაფუძნებით საფარმა შეიმუშავა საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი და მიაწოდა პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს. აღნიშნული ცვლილებების მიღებას 2018 წლისთვის ველით.

საჯარო ლექციები და ტრენინგები სტუდენტებისთვის

სექსუალური შევიწროების თემაზე საჯარო ლექციები გაიმართა საქართველოს ექვს ქალაქში (თბილისი, რუსთავი, გორი, ბათუმი, ქუთაისი, ზუგდიდი). ამავე ქალაქებში ჩატარდა ერთდღიანი სერტიფიცირებული ტრენინგები სტუდენტებისთვის თემაზე “გენდერული ძალადობის ღია და ფარული ფორმები”. ტრენინგის მონაწილეებს შორის დარიგდა ლიფლეტები.

ცნობიერების ამაღლების კამპანია



საფარის კამპანია “ რა მოხდა ქუჩაში” ქალების პირადი გამოცდილების ნარატივთა კრებულია. კამპანიის ფარგლებში ფეისბუქზე შეიქმნა გვერდი “რა მოხდა ქუჩაში”, სადაც განთავსდა 75 მოკლე ისტორია საჯარო სივრცეში სექსუალურ შევიწროების თემაზე. კამპანიის ფარგლებში მომზადდა რვაწუთიანი მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ვიდეო და ანიმაციური რგოლი. პროექტის ფარგლებში ასევე მოამზადა ორი იუმორისტული ვიდეორგოლი სექსუალური შევიწროების თემატიკაზე, რგოლების ნახვამ სოციალურ ქსელში 100 000 გადააჭარბა. კამპანიის აქტივობები რეგულარულად შუქდებოდა სხვადასხვა მედიასაშუალებებით.

Safari / Laogahn

პროექტი განხორციელდა ფონდი “ღია საზოგადოება - საქართველო” და “პრაღის სამოქალაქო საზოგადოების ცენტრის” ფინანსური მხარდაჭერით.